საჯარო სამართლის იურიდიული პირი _
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-08/51

22 სექტემბერი 2016 ქ. ბათუმი

2016-2017 სასწავლო წლისათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მასწავლებელთა/სპეციალისტთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური/საათობრივი დატვირთვის, ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 9 აგვისტოს N63 დადგენილების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური/საათობრივი დატვირთვის, ჯგუფში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 12 სექტემბრის №03 გადაწყვეტილების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მ. გიორგაძის 2016 წლის 21 სექტემბრის MES 1 16 01121820, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის ა. მახარაძის 2016 წლის 21 სექტემბრის MES 0 16 01120640, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის ვ. ღლონტის 2016 წლის 12 სექტემბრის MES 7 16 01057035, 21 სექტემბრის 6 16 011197სოციალური და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის ი. გორგილაძის 9 სექტემბრის MES 5 16 01046198, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მ. ქორიძის 2016 წლის 22 სექტემბრის MES 1 16 01123288, ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის გ. ფარცხალაძის 2016 წლის 21 სექტემბრის MES 3 16 01120661 სამსახურეობრივი ბარათების საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი 2016-2017 სასწავლო წლისათვის (პირველ ან/და მეორე სემესტრში) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის (ვაკანტური სასწავლო კურსების) წარმართვის მიზნით მასწავლებელთა/სპეციალისტთა შესარჩევად **დანართი** 1-ის მიხედვით.

2. კონკურსანტებმა ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით 2016 წლის 23 სექტემბრის ჩათვლით უნდა წარმოადგინონ:

ა) განცხადება (რომელშიც უნდა მიეთითოს ის ვაკანტური კურსი, რომლის წარმართვის უფლების მოპოვება სურს კონკურსანტს);

ბ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

გ)უმაღლესიგანათლების/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის/დოკუმენტების ასლი/ასლები;

დ) ხელმოწერილი და დათარიღებული CV;

ე) ფერადი ფოტო (ზომა ¾).

3. პერსონალის შესარჩევი **კონკურსი ჩატარდეს 2016 წლის 26 და 27 სექტემბერს** (კონკურსანტთა სია და გასაუბრების/ღია ლექციის ჩატარების დრო და ადგილი დადგინდეს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით და გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე, შესაბამის ველში, არაუგვიანეს ერთი დღით ადრე).

4. კონკურსის შედეგების შესახებ ინფორმაცია კომისიების მიერ მიეწოდოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს, რომელმაც უზრუნველყოს მისი სჯარო გამოცხადება ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე და ბსუ-ს ვებგვერდზე, არაუგვიანეს 2016 წლის 28 სექტემბრისა.

5. კონკურსანტთა საპრეტენზიო განცხადებები წარმოდგენილი იქნეს 2016 წლის 29 სექტემბერს, 10 საათიდან 15 საათამდე, ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით.

6. საპრეტენზიო განცხადებები განხილული იქნეს შესაბამისი კომისიების მიერ და საბოლოო შედეგები გამოცხადდეს არაუგვიანეს 2016 წლის 30 სექტემბრისა, ბსუ-ს ვებგვერდის მეშვეობით.

7. გამარჯვებული კონკურსანტების აკადემიური დატვირთვის შესახებ რექტორის ბრძანების გამოცემის შემდეგ, მათთან 2016 წლის 3 ოქტომბრიდან გაფორმდება შრომითი ხელშეკრულება 2016-2017 სასწავლო წლის ვადით, რომლის თანახმად, მოწვეული პერსონალი (მასწავლებელი/სპეციალისტი) ვალდებულია აკადემიური დატვირთვის გათვალისწინებით შეასრულოს ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილი შემდეგი ფუნქციები:

ა)ლექციის/პრაქტიკულის/სემინარის/ჯგუფში სამუშაოს/ლაბორატორიული სამუშაოს დაგეგმვა, მომზადება და ჩატარება შესაბამისი პროგრამის სილაბუსის მიხედვით;

ბ) შუალედური და საბოლოო გამოცდების საკითხების მომზადება და საგამოცდო ნაშრომების გასწორება;

გ) ბსუ-ს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საქმიანობის წარმართვა, რაც გამომდინარეობს შრომითი ხელშეკრულებიდან, ბსუ-ს შინაგანაწესიდან და ეთიკის კოდექსიდან.

8. შეიქმნას საკონკურსო კომისიები ფაკულტეტების/დარგობრივი დეპარტამენტების მიხედვით **დანართი 2-ის** შესაბამისად და დამტკიცდეს მათი მუშაობის წესი **(დანართი 3).**

8. ბსუ-ს ფაკულტეტის დეკანებს დაევალოს 2016 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით უზრუნველყონ დარგობრივი დეპარტამენტების მიერ გამარჯვებული კონკურსანტების

საათობრივი აკადემიური დატვირთვის განსაზღვრის შესახებ მოხსენებითი ბარათების წარმოდგენა.

9. ამ ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს რექტორის მოადგილეს, ქალბატონ ინგა შამილიშვილს.

10. ბრძანება სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ფაკულტეტებს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

11. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებ-გვერდზე.

12. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**

,,2016-2017 სასწავლო წლისათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მასწავლებელთა/სპეციალისტთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 22 სექტემბრის N01-08/51 ბრძანების

დანართი 1

ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების ვაკანტური სასწავლო კურსები ფაკულტეტების, დარგობრივი დეპარტამენტებისა და 2016-2017 სასწავლო წლის სემესტრების მიხედვით

1. იურიდიული ფაკულტეტი

1.1. სამართლის დარგობრივი დეპარტამენტი:

ა) სახელშეკრულებო სამართალი - 60 საათი (ჯგუფში მუშაობა) მე-2 სემესტრი
ბ) სანივთო სამართალი - 75 საათი (15 ლექცია, 60 ჯგუფში მუშაობა) 1-ლი სემესტრი
დ) საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი - 75 საათი (15 ლექცია 60 სემინარი) 1-ლი სემესტრი
ე) დიპლომატიური და საკონსულო სამართალი - 75 საათი (15 ლექცია და 60 სემინარი) 1-ლი სემესტრი
ვ) საარჩევნო სამართალი - 60 საათი (30 ლექცია, 30 სემინარი) 1-ლი სემესტრი
ზ) საერთაშორისო სისხლის სამართალი - 45 საათი (15 ლექცია, 30 სემინარი) მე-2 სემესტრი
თ) ევროპის სამართალი -105 საათი 30 (ლექცია, 75 სემინარი) მე-2 სემესტრი

2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

2.1 ევროპეისტიკის დარგობრივი დეპარტამენტი:

ა) ინგლისური ენა - B1.1 – 210 სთ (ჯგუფში მუშაობა), პირველი სემესტრი-105 საათი, მეორე სემესტრი - 105 საათი;
ბ) ინგლისური ენა - B2.2.1 – 60 საათი(ჯგუფში მუშაობა), პირველი სემესტრი;
გ) ტექსტის ინტერპრეტაცია - 30 საათი (ჯგუფში მუშაობა), მეორე სემესტრი;
დ) ინგლისური ენა - B2.1 – 90 საათი(ჯგუფში მუშაობა), პირველი სემესტრი;
ე) ინგლისური ენა - B2.2 – 90 საათი(ჯგუფში მუშაობა), მეორე სემესტრი;
ვ) ბიზნესის ენა - B1.2 – 45 საათი (ჯგუფში მუშაობა), პირველი სემესტრი;
ზ)თარგმანის ფილოსოფია - 30 საათი (15 ლექცია, 15 ჯგუფში მუშაობა), პირველი სემესტრი;
თ) მასმედიის დისკურსი (გერმ.) – 45 საათი

2.2 ფილოსოფიის დარგობრივი დეპარტამენტი:

ა) ფილოსოფიის შესავალი - 60 საათი (ჯგუფში მუშაობა), პირველი სემესტრი;
ბ) სოციოლოგიის შესავალი (I-II) - 60 სთ (30 სთლექცია,30სთჯგ/მუშაობა), I სემესტრი;
გ) სოციოლოგიური კვლევის მეთოდები -120სთ (60 სთლექცია, 60 სთჯგ/მუშაობა) II სემესტრი;
დ) თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები- 30 სთ, (15 ლექცია. 15 ჯგ/მუშაობა), პირველი სემესტრი;
ე) პოსტმოდერნულობის სოციოლოგია - 30სთ (15 ლექცია. 15 ჯგ/მუშაობა), პირველი სემესტრი;
ვ) სოციალური კომუნიკაციის სოციოლოგია - 60 სთ (30 სთლექცია,30სთჯგ/მუშაობა), პირველი სემესტრი;

ზ)ინტერპერსონალური სოციოლოგია -30 სთ(15 ლექცია. 15 ჯგ/მუშაობა), მეორე სემესტრი;
თ)რაოდენობრივი კვლევის მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება და ანალიზი (Excel და SPSS პროგრამებისგამოყენებით) 30 სთ(15 ლექცია. 15 ჯგ/მუშაობა), მეორე სემესტრი;
ი) რელიგია და საზოგადოება - რელიგიის სოციოლოგიის აქტუალური საკითხები- 30 სთ. (15 ლექცია. 15 ჯგ/მუშაობა), პირველი სემესტრი;
კ) ძალაუფლების სოციოლოგიური თეორიები - 30 სთ (15 ლექცია,15 ჯგ/მუშაობა), პირველი სემესტრი;
ლ) პოლიტიკის სოციოლოგიის აქტუალური საკითხები 30 სთ (15 ლექცია. 15 ჯგ/მუშაობა), პირველი სემესტრი;
მ) თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები 1- 30სთ. (15 ლექცია. 15 ჯგ/მუშაობა), პირველი სემესტრი;
ნ) თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები2-30სთ. (15 ლექცია. 15 ჯგ/მუშაობა), პირველი სემესტრი;
ო) პოლიტიკის ფილოსოფიის კლასიკური თეორიები" -30 სთ (15სთ ლექცია,15 სთ ჯგუფში მუშაობა) პირველი სემესტრი.

2.3 აღმოსავლეთმცოდნეობის დარგობრივი დეპარტამენტი:

ა) ანალიზური კითხვა 1(თურქ.)- 60 საათი (ჯგუფში მუშაობა), პირველი სემესტრი

2.4 ქართული ფილოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტი:

ა) ლიტერატურა 1 – 120 საათი (ჯგუფში მუშაობა), პირველი სემესტრი;
ბ) ლიტერატურა 2 – 60 საათი(ჯგუფში მუშაობა), მეორე სემესტრი;
გ) ქართული ენის კომუნიკაციური ასპექტები 1- 60 საათი (15 ლექცია, 40 ჯგუფში მუშაობა) პირველი სემესტრი;
დ) ქართულის როგორც მეორე ენის სამეტყველო ფუნქციები: მოსმენა და გაგება - 45საათი(ჯგუფში მუშაობა)პირველი სემესტრი;
ე) ქართულის როგორც მეორე ენის სამეტყველო ფუნქციები: ლაპარაკი - 45საათი(ჯგუფში მუშაობა)პირველი სემესტრი;
ვ) ზეპირი კომუნიკაციის სტრატეგიები - 60 საათი (15ლექცია, 45 ჯგუფში მუშაობა), მეორე სემესტრი.

3. ტექნოლოგიური ფაკულტეტი

3.1.ინჟინერიისა და მშენებლობის დარგობრივი დეპარტამენტი:

ა) მოდელირებისა და ვიზულიზაციის საფუძვლები - 25 საათი (25 სთ. ჯგუფში მუშაობა), პირველი სემესტრი.
ბ) მოდელირებისა და ვიზულიზაციის საფუძვლები - 45 საათი (25 სთ. ჯგუფში მუშაობა), პირველი სემესტრი.
გ) სახვითი ხელოვნება III - 45 საათი (20 სთ. ჯგუფში მუშაობა, 25 სთ. პრაქტიკა), მეორე სემესტრი
დ) სახვითი ხელოვნება III - 45 საათი (45 სთ. ჯგუფში მუშაობა) პირველი სემესტრი
ე) საწარმოო პრაქტიკა (არქიტექტურა) - 25 სთ. მეორე სემესტრი
ვ) შენობათა არქიტექტურა - 45 საათი (15 სთ. ლექცია,30 სთ. ჯგუფში მუშაობა), პირველი სემესტრი.

4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი

4.1.ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტი:

ა) საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენების მართვის ტექნოლოგიები - 30 სთ, ლექცია 10, ჯგუფში მუშაობა 20 III სემესტრი (ეკოლოგიის სამაგისტრო პროგრამა),
ბ) რადიობიოლოგია რადიაციული ეკოლოგიის საფუძვლებით - 21 სთ, ლაბორატორიული- 10სთ, ჯგუფში მუშაობა11 სთ II სემესტრი (ეკოლოგიის სამაგისტრო პროგრამა),
გ) სამრეწველო ეკოლოგია -30სთ, ლექცია-10 სთ, ჯგუფში მუშაობა-20სთ Iსემესტრი (ეკოლოგიის სამაგისტრო პროგრამა)

დ) ზოგადი იმუნოლოგია- 15სთ x3 ჯგუფი, 45 სთ ლაბორატორიული

ე) იმუნოლოგია- 15სთ X 3 ჯგუფი, 45 სთ. ლაბორატორიული

4.2. საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მტკიცებითი მედიცინის დარგობრივი დეპარტამენტი

ა) ეპიდემიოლოგია,ბიოსტატისტიკა 10 სთ. ლექცია, 25 სთ ჯგ. მუშაობა I სემესტრი
ბ) საზოგადოებრივი ჯანდაცვა 10 სთ. ლექცია ,35 სთ ჯგ.მუშაობა I სემესტრი
გ) ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებათა პრევენცია 30 სთ. ჯგ. მუშაობა I სემესტრი
დ)ჯანმრთელობის დაცვის სფეროს კანონმდებლობა, ბიოეთიკა.15 სთ.ლექცია,15 სთ. ჯგ. მუშაობა I სემესტრი
ე)საზოგადოებრივი ჯანმრთელობა-15სთ.ლექცია.II სემესტრი
ვ) სადაზღვევო საქმე-10სთ.ლექცია-25სთ.ჯგ.მუშაობა II სემესტრი
ზ) ჯანდაცვის პროგრამების მართვა-15სთ ლექცია,20 სთ ჯგ. მუშაობაIIIსემესტრი
თ) ჯანდაცვის ფინანსური მენეჯმენტი - 15 სთ. ლექცია,15 სთ. ჯგ. მუშაობა III სემესტრი
ი) ჯანდაცვის ეკონომიკა-14სთ.ლექცია,16სთ.ჯგ.მუშაობაIII სემესტრი
კ) სასწავლო პრაქტიკა(საავადმყოფო/სადაზღვევო)-35სთ.პრაქტიკულიIIIსემესტრი
ლ) საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია -30სთ.ჯგ.მუშაობაIVსემესტრი
მ) გალენური პრეპარატების ტექნოლოგია-30სთ.ლექცია 60სთ.პრაქტიკული Vსემესტრი
ნ) მზა წამალთფორმების ტექნოლოგია-30სთ.ლექცია 60სთ. პრაქტიკული VI სემესტრი
ო) ფარმაცევტული მრეწველობის აპარატურა და პროცესები 15 სთ. ლექცია 35 სთ. პრაქტიკულიVI სემესტრი
პ) ფარმაცევტული ტექნოლოგიები-90სთ.ჯგუფში მუშაობა VIII სემესტრი
ჟ) მედიცინის და ფარმაციის ისტორია-30სთ.ლექცია,15 სთ. ჯგუფში მუშაობა V სემესტრი

4.3.კლინიკური ქირურგიის დარგობრივი დეპარტამენტი

ა) მასაჟის ზოგადი საფუძვლები-10სთ ლექცია,20სთ. პრაქტიკული IVსემესტრი
ბ) სპორტული მედიცინა-20 პრაქტიკული IVსემესტრი
გ) სამედიცინო ფსიქოლოგია-60 პრაქტიკული IVსემესტრი

5. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

5.1. ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტისა და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტი

ა) მარკეტინგის საფუძვლები - 90 საათი (ლექცია - 30, სემინარი/ჯგუფში მუშაობა - 60 საათი), მეორე სემესტრი;
ბ) მარკეტინგის საფუძვლები - 150 საათი (ლექცია - 60, სემინარი/ჯგუფში მუშაობა - 90 საათი), პირველი სემესტრი;
გ) საზოგადოებასთან ურთიერთობა - 45 საათი (ლექცია - 15, სემინარი/ჯგუფში მუშაობა - 30 საათი), მეორე სემესტრი;
დ) მარკეტინგის საფუძვლები - 45 საათი (ლექცია - 15, სემინარი/ჯგუფში მუშაობა - 30 საათი), პირველი სემესტრი;
ე) ბიზნესის საფუძვლები - 30 საათი (სემინარი/ჯგუფში მუშაობა - 30 საათი), მეორე სემესტრი;
ვ) მენეჯმენტის საფუძვლები - 60 საათი (სემინარი/ჯგუფში მუშაობა - 60 საათი), მეორე სემესტრი.

5.2.საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმის დარგობრივი დეპარტამენტი

ა) კომპანიის ფინანსები - 60 საათი (სემინარი/ჯგუფში მუშაობა - 60 საათი), მეორესემესტრი;
ბ) დაზღვევა - 90 საათი (სემინარი/ჯგუფში მუშაობა - 90 საათი), მეორე სემესტრი;
გ) ინვესტიციები - 90 საათი (ლექცია - 60, სემინარი/ჯგუფში მუშაობა - 30 საათი), მეორე სემესტრი;
დ) ფინანსური მენეჯმენტი- 60 საათი (სემინარი/ჯგუფში მუშაობა - 60 საათი), პირველი სემესტრი;
ე) საქართველოს სახელმწ. ბიუჯეტი - 30 საათი (სემინარი/ჯგუფში მუშაობა - 30 საათი), პირველისემესტრი;
ვ)minor-არჩევითი-საერთაშორ. საფინანს. სავალუტო, საკრედიტო ურთიერთობები - 45 საათი ((ლექცია - 15, სემინარი/ჯგუფში მუშაობა - 30 საათი), პირველი სემესტრი.
ზ)არჩევითი-ინვესტიციები--45 საათი ((ლექცია - 15, სემინარი/ჯგუფში მუშაობა - 30 საათი), პირველი სემესტრი.
თ)არჩევითი-დაზღვევა--45 საათი ((ლექცია - 15, სემინარი/ჯგუფში მუშაობა - 30 საათი), პირველი სემესტრი
ი)არჩევითი-კომპანიის ფინანსები--75 საათი ((ლექცია - 15, სემინარი/ჯგუფში მუშაობა - 60 საათი), პირველი სემესტრი
კ)არჩევითი-რისკების დაზღვევა-45 საათი ((ლექცია - 15, სემინარი/ჯგუფში მუშაობა - 30 საათი), მეორე სემესტრი
ლ)minor--არჩევითი-დაზღვევა--45 საათი ((ლექცია - 15, სემინარი/ჯგუფში მუშაობა - 30 საათი), პირველი სემესტრი
მ)სადაზღვევო ბაზარი--45 საათი ((ლექცია - 15, სემინარი/ჯგუფში მუშაობა - 30 საათი), მეორე სემესტრი

5.3. ეკონომიკის დარგობრივი დეპარტამენტი

ა) ეკონომიკსის მოკლე კურსი - 90 საათი (სემინარი/ჯგუფში მუშაობა - 90 საათი), პირველი სემესტრი

ბ) ეკონომიკსი 1 - 60 საათი (სემინარი/ჯგუფში მუშაობა - 60 საათი), პირველი სემესტრი

გ) ეკონომიკსი2 - 90 საათი (სემინარი/ჯგუფში მუშაობა - 90 საათი), მეორე სემესტრი

დ)ეკონომიკური დოქტრინები 1- 120 საათი (სემინარი/ჯგუფში მუშაობა - 120 საათი), პირველი სემესტრი

ე) ეკონომიკური დოქტრინები 2- 120 საათი (სემინარი/ჯგუფში მუშაობა - 120 საათი), მეორე სემესტრი

ვ) სოციალური ეკონომიკა - 90 საათი (სემინარი/ჯგუფში მუშაობა - 90 საათი), მეორე სემესტრი

ზ) საერთაშორისო კონკურენციულ უპირატესობათა მიღწევის პოლიტიკა - 30 საათი (ლექცია 15 საათი; სემინარი/ჯგუფში მუშაობა - 15 საათი), პირველი სემესტრი

თ) რეგიონული ეკონომიკური პოლიტიკა - 30 საათი (ლექცია 15 საათი; სემინარი/ჯგუფში მუშაობა - 15 საათი), მეორე სემესტრი

ი) სოციალურ-ეკონომიკური პროცესების პროგნოზირება- 30 საათი (ლექცია 15 საათი; სემინარი/ჯგუფში მუშაობა - 15 საათი), მეორე სემესტრი

კ) კეთილდღეობის ეკონომიკა - 30 საათი (ლექცია 15 საათი; სემინარი/ჯგუფში მუშაობა - 15 საათი), პირველი სემესტრი

ლ) საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები- 30 საათი (ლექცია 15 საათი; სემინარი/ჯგუფში მუშაობა - 15 საათი), მეორე სემესტრი

„2016-2017 სასწავლო წლისათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მასწავლებელთა/სპეციალისტთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 22 სექტემბრის N 01-08/51 ბრძანების

დანართი 2

საკონკურსო/საპრეტენზიო კომისიები ფაკულტეტების/დარგობრივი დეპარტამენტების მიხედვით

1. ტექნოლოგიური ფაკულტეტი

1.1.ინჟინერიისა და მშენებლობის დარგობრივი დეპარტამენტი:

1. ფარცხალაძე გიზო, პროფესორი, კომისიის თავმჯდომარე
2. ხალვაში ენვერი, პროფესორი, კომისიის წევრი
3. ქიქავა თეიმურაზი, პროფესორი, კომისიის წევრი
4. ჩავლეშვილი გოჩა, ასოც. პროფესორი, კომისიის წევრი

2. იურიდიული ფაკულტეტი:

2.1.სამართლის დარგობრივი დეპარტამენტი

1. პროფესორი ადამ მახარაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. პროფესორი მურმან გორგოშაძე- კომისიის წევრი
3. ასოცირებული პროფესორი ომარ ფარტენაძე - კომისიის მდივანი
4. ასოცირებული პროფესორი ლევან ჯაყელი - კომისიის წევრი
5. ასისტენტ პროფესორი კახა ფალავანდიშვილი - კომისიის წევრი

3. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

3.1ევროპეისტიკის დარგობრივი დეპარტამენტი;

1. პროფ. თამარ სირაძე (თავმჯდომარე)
2. პროფ. ი. გოშხეთელიანი
3. ასოც. პროფ. ნინო დვალიძე
4. ასოც. პროფ. ზეინაბ გვარიშვილი
5. ასოც. პროფ. ხათუნა ბერიძე
6. ასოც. პროფ. ნინო არაშიძე
7. ასისტ. პროფ. ჟუჟუნა გუმბარიძე

3.2. ფილოსოფიის დარგობრივი დეპარტამენტი;

1. პროფ. ლალი ზაქარაძე (თავმჯდომარე)
2. პროფ. მიხეილ მახარაძე
3. ასოც. პროფ. ლალი ანთიძე
4. ასოც. პროფ. პროფ. ვარდო ბერიძე

3.3. აღმოსავლეთმცოდნეობის დარგობრივი დეპარტამენტი;

1. პროფესორი - ემზარ მაკარაძე;
2. ასოც. პროფესორი - ლილე თანდილავა (თავმჯდომარე);
3. ასოც. პროფესორი - ზაზა შაშიკაძე;
4. ასისტ. პროფესორი - ლიანა ჭყონია

4. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

4.1 ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტი;

1. კომისიის თავმჯდომარე - პროფ. ქეთევან დოლიძე
2. ასოც.პროფ. ნინო ლომთათიძე (მდივანი)
3. ასოც.პროფ. ნანი გვარიშვილი
4. ასისტ.პროფ. ლალი ჟღენტი
5. ასოც. პროფ. მარინა ნაგერვაძე

4.2 საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მტკიცებითი მედიცინის დეპარტამენტი ;

1.კომისიის თავმჯდომარე-პროფ. სალომე ღლონტი
2.პროფ.სოფიო ბერიძე
3.ასისტ.პროფ.ეთერ ჯაყელი
4. ასისტ.პროფ. ლელა ბერიძე
5. ასოც.პროფ.ნატო ზოსიძე

4.3 კლინიკური მედიცინის დარგობრივი დეპარტამენტი;

1.კომისიის თავმჯდომარე-პროფ. კახაბერ ქაშიბაძე
2.ასოც.პროფ.ნერიმან ცინცაძე
3.ასოც.პროფ.შორენა ვაშაძე
4.ასოც.პროფ.ნატო ზოსიძე

5. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

5.1.ბიზნესის ადმინისტრირების დარგობრივი დეპარტამენტი;

1. ასოც. პროფესორი ბადრი გეჩბაია - თავმჯდომარე
2. პროფესორი რეზო მანველიძე
3. ასოც. პროფესორი ირმა ჩხაიძე
4. პროფესორი გელა მამულაძე
5. ასოც. პროფესორი დავით ქათამაძე

5.2.საბუღალტრო აღრიცხვის, აუდიტისა და საგადასახადო საქმის დარგობრივი დეპარტამენტი;

1. ასოც. პროფესორი ია მესხიძე - თავმჯდომარე
2. პროფესორი ვაჟა ვერულიძე
3. ასოც. პროფესორი დარეჯან ჩხუბაძე

5.3. ეკონომიკის დარგობრივი დეპარტამენტი ;

1. ასოც. პროფესორი მურმან ცეცხლაძე - თავმჯდომარე
2. პროფესორი ნათელა წიკლაშვილი
3. ასოც. პროფესორი დავით ქათამაძე

,,2016-2017 სასწავლო წლისათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირი-ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის წარმართვის მიზნით მასწავლებელთა/სპეციალისტთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 22 სექტემბრის N 01-08/51 ბრძანების

დანართი 3

საკონკურსო კომისიების მუშაობის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

საკონკურსო კომისიის მუშაობის წინამდებარე წესის მიზანია საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდეგში ,,ბსუ“) საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის (ვაკანტური სასწავლო კურსების) წარმართვის მიზნით ღია კონკურსის წესით მასწავლებელთა/სპეციალისტთა შერჩევა.

მუხლი 2. კომისიის შემადგენლობა და ფუნქციები

1. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება დეკანის წარდგინების საფუძველზე გამოცემული ბსუ-ს რექტორის ბრძანებით.
2. კომისიის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება არანაკლებ 5 წევრით, მათ შორის კომისიის თავმჯდომარით და კომისიის მდივნით.
3. კომისიის ყველა სხდომა არის დახურული და კომისიის წევრები ვალდებულნი არიან დაიცვან კონფედენციალურობა და არ გაამჟღავნონ ინფორმაცია საბოლოო შედეგების ოფიციალურ გამოქვეყნებამდე.
4. კომისიის ფუნქციებია:

   ა) კონკურსის პროცედურის ორგანიზება დადგენილი წესის შესაბამისად;

   ბ) კონკურსანტების განცხადებების განხილვა;

   გ) სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში კონკურსანტის კონკურსიდან მოხსნა;

   დ) კონკურსის შედეგების წარდგენა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანისათვის;
5. **საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ უნდა უზრუნველყოს:**

ა) საკონკურსო კომისიის ხელმძღვანელობა, მისი მუშაობის ორგანიზება დადგენილი წესებისა და წინამდებარე წესის საფუძველზე:

ბ) საკონკურსო კომისიის სხდომების დანიშვნა, მათი ჩატარების ადგილისა და დროის განსაზღვრა;

გ) სხდომებისათვის დოკუმენტაციისა და მასალების მომზადების კონტროლი;

დ) საკონკურსო კომისიის სხდომების წარმართვა;

6. **საკონკურსო კომისიის მდივანმა უნდა უზრუნველყოს**:

ა) კომისიის წევრებისათვის სხდომების დროისა და ადგილის შეტყობინება;

ბ) კომისიის წევრების საჭირო მასალებითა და დოკუმენტაციით უზრუნველყოფა;

გ) კომისიის მუშაობის ოქმების წარმოება;

დ) საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის იმ დავალებების შესრულება, რომელიც საკონკურსო კომისიის მუშაობასთანაა დაკავშირებული.

6. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია:

ა) კონკურსანტს მოსთხოვოს მის მიერ წარმოდგენილ განაცხადში ან სხვა მასალაში მითითებული ინფორმაციის დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენა კომისიის მიერ დადგენილ ვადებში;

ბ) შერჩევიდან მოხსნას აპლიკანტი, თუ: წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეიცავს არასწორ ინფორმაციას; წარმოდგენილი დიპლომი არ შეესაბამება დასაკავებელი თანამდებობის პროფილს ან კომისიის მიერ დადგენილ ვადაში არ/ვერ წარმოადგინა მოთხოვნილი დოკუმენტები; არ გამოცხადდა ან უარი განაცხადა გასაუბრებაზე/ღია ლექციის ჩატარებაზე.

მუხლი 3. კომისიის გადაწყვეტილება უნარიანობა და სხდომის ოქმი

1. საკონკურსო კომისია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის წევრების უმრავლესობა. ქვორუმის არარსებობის შემთხვევაში სხდომა ინიშნება სხვა დროს.
2. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, ხოლო დასკვნას ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით.
3. კომისიის სხდომების ოქმებში უნდა დაფიქსირდეს:

ა) სხდომის თარიღი;

ბ) დამსწრე შემადგენლობა და დღის წესრიგი;

გ) სხდომაზე კენჭისყრის შედეგები;

დ) მიღებული გადაწყვეტილება.

4. შერჩეულ კანდიდატად ჩაითვლება კონკურსანტი, რომელსაც ხმას მისცემს საკონკურსო კომისიის წევრთა უმრავლესობა. თუ შერჩეულ კანდიდატთა რაოდენობა აღემატება ვაკანტური ადგილის რაოდენობას, ტარდება განმეორებითი კენჭისყრა საბოლოო გამარჯვებულის გამოვლენამდე.
5. კონკურსანტის მიერ ხმათა არასაკმარისი რაოდენობის მიღების შემთხვევაში, ვაკანტური საათის განაწილება ხდება ბსუ-ს რექტორის ბრძანების შესაბამისად.
6. კომისიის სრული დოკუმენტაცია შერჩევის დასრულებისა და შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ შესანახად გადაეცემა ბსუ-ს კანცელარიას.